



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოვალკვირული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 41, 2024

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
საქართველოში გადამუშავებული ნავთობის ფასი ნაკლებად კონკურენტუნარიანი იქნება - მამათელაშვილი ყულევის ქარხანაზე.....	2
"საქართველოს განვითარების ფონდი" ყულევის ნავთობ გადამმუშავებელ ქარხანას \$5-მილიონიანი სესხით აფინანსებს	2
ელექტროენერგეტიკა.....	4
საქართველოს აქვს იმის პოტენციალი, რომ ელექტროენერგია ქვეყნისთვის თვითკმარი იყოს - ენერგეტიკოსი	4
არსებობენ დაინტერესებული ინვესტორები, რომლებიც ხუდონჰესის განხორციელებას განიხილავენ - მინისტრი.....	5
განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა.....	6
მთავრობამ ენერგოპროექტების ინვესტორები გარანტიის წარდგენის ვალდებულებისგან გაათავისუფლა.....	6
აშშ-ში ქმნიან სატელიტს, რომლის დახმარებით ღამით მზის შუქს მიიღებთ	7
კლიმატის ცვლილება.....	8
კლიმატური კატასტროფები მხოლოდ ოდნავ ცვლის პოლიტიკურ საჭიროებას	8
Cop29-ის მასპინძელი აზერბაიჯანი აპირებს წიაღისეული გაზის მოპოვების მასტაბურ გაფართოებას, ნათქვამია მოხსენებაში	8
ლონისძიებები	9

ნავთობი და გაზი

საქართველოში გადამამუშავებული ნავთობის ფასი ნაკლებად

კონკურენტუნარიანი იქნება - მამათელაშვილი ყულევის ქარხანაზე

12 წლის შემდეგ ყულევში ნავთობ გადამამუშავებელი ქარხნის პროექტი წარადგინეს. პროექტს "ბლექ სი პეტროლიუმი" ახორციელებს, მისი ჯამური ღირებულება კი 700 მილიონი დოლარია. ეკონომიკის მინისტრი ლევან დავითაშვილი ამბობს, რომ პროექტი საქართველოს ენერგოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობისთვის უმნიშვნელოვანესია.

ჯერჯერობით უცნობია რომელი ქვეყნებიდან შეისყიდის ნავთობს "ბლექ სი პეტროლიუმი", რომელსაც გადამამუშავებს, თუმცა როგორც პრეზენტაციაზე ირკვევა საწარმოებს ბოლო ეტაპის დასრულების შემდეგ სრულად იქნება შესაძლებელი ადგილობრივი მოხმარების დაკმაყოფილება და ევროპაში ექსპორტის განხორციელება.

ენერგეტიკოსი არჩილ მამათელაშვილი ამბობს, რომ ნედლი ნავთობის შემოტანა თეორიულად შეიძლება რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან მოხდეს, თუმცა დიდი მწარმოებლები, რომლებიც ნავთობს მოიპოვებენ, თავადვე ამუშავებენ.

"საიდან უნდა შემოვიდეს ნედლი ნავთობი არ ვიცი, დიდი მწარმოებლები, რომლებიც ნავთობს აწარმოებენ თვითონ აქვთ თავიანთი გადამამუშავებელი საწარმოები. ე.წ თავისუფალი ნავთობი რეგიონში შეიძლება ჰქონდეს რუსეთს ან ყაზახეთს, საიდანაც როგორ მოხდება შემოტანა ნედლეულის არ ვიცი. ასევე შეიძლება ეს იყოს აზერბაიჯანი. თუმცა რამდენად აწყობს ამ ქვეყნებს ან რამდენად მოახერხებენ თან ომის პირობებში საკმაოდ რთული სათქმელია.

ყველაზე დიდი პრობლემა აქ შეიძლება იყოს ინვესტიციის მოზიდვა ამის ასაშენებლად. ვინ ჩადებს ქვეყანაში 500 მილიონ დოლარს მაინც, სადაც უნდა განახორციელოს გრძელვადიანი ინვესტიცია საკმაოდ დიდი რისკებით ფეთქებადსაშიშ რეგიონში," - ამბობს ენერგეტიკოსი არჩილ მამათელაშვილი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულევში შპს „ბლექ სი პეტროლიუმი“-ს დაგეგმილი საქმიანობები ითვალისწინებს ქარხნის ტერიტორიაზე ნედლი ნავთობის სარკინიგზო ხაზით შემოტანას, დასაწყობებას და გადამამუშავებას. პროექტით გათვალისწინებულია ნედლი ნავთობის გადამამუშავება, ქარხნის წარმადობა პირველ ეტაპზე შეადგენს მილიონ 121 ათას ტონას წელიწადში, რისთვისაც მოეწყობა 89000 კუბურ მეტრიანი სარეზერვუარო პარკი.

ენერგეტიკოსის შეფასებით, სარკინიგზო ტრანსპორტი ნედლეულის ღირებულებას ამცირებს, რაც ადგილზე გადამამუშავებული ნავთობის ღირებულებას არაკონკურენტულს ხდის.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/weFwvgxC>

"საქართველოს განვითარების ფონდი" ყულევის ნავთობ გადამამუშავებელ ქარხანას \$5-მილიონიანი სესხით აფინანსებს

ყულევში საქართველოში პირველი სრულმასშტაბიანი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროექტში \$5 მილიონის ინვესტიციას საქართველოს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი -

საქართველოს განვითარების ფონდი ახორციელებს, ამის შესახებ ინფორმაციას თავად ფონდი აქვეყნებს.

ქარხნის სამშენებლო სამუშაოები რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრმა დაათვალიერა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ პროექტი საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობებს ახალ პოტენციალს შესძენს.

ქარხნის პროექტს "ბლექ სი პეტროლიუმი" ახორციელებს, რომელიც ბიზნესმენ მაკა ასათიანის მიერ დაფუძნებული კომპანიაა. მისი განცხადებით, 2025 წლის გაზაფხულზე ქარხანა პირველი პროდუქციის ექსპორტს დაიწყებს.

ქარხნის პირველი ფაზის საინვესტიციო მოცულობა 110 მილიონი დოლარია და ის ქართული კომერციული ბანკების სინდიცირებული (ერთობლივი) სესხით ფინანსდება, ამ დაფინანსებაში "საქართველოს განვითარების ფონდი" \$5 მილიონის მოცულობით მონაწილეობს. პირველ ეტაპზე განხორციელებული ინვესტიციის შედეგად, საწარმო 1.2 მლნ ტონა ნედლეულს გადამამუშავებს წლის განმავლობაში. ქარხანა აღჭურვილი იქნება მაღალტექნოლოგიური დანადგარებით, რაც საერთაშორისო სტანდარტის საბოლოო პროდუქტების მიღებას განაპირობებს.

პროექტის მთლიანი საინვესტიციო მოცულობა 700 მილიონი დოლარია და უკვე 2026 წლისთვის დაგეგმილია რომ მისი წლიური წარმადობა წელიწადში 2.8 მილიონი ტონა ნავთობის გადამამუშავება იქნება.

ეს "საქართველოს განვითარების ფონდის" (ყოფილი საპარტნიორო ფონდის) ყველაზე მსხვილი საინვესტიციო დაფინანსებაა, რაც ფონდმა მისი სტრუქტურული რეფორმირების შემდეგ განახორციელა. შეგახსენებთ, რომ ფონდის სტრუქტურა შეიცვალა და მას სრულად გამოეყო სახელმწიფო სისტემური კომპანიები - "საქართველოს რკინიგზა", "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია", "ესკო" და "სახელმწიფო ელექტროსისტემა". ასევე შეიცვალა ფონდის მმართველობითი სისტემაც. თუმცა, ამის მიუხედავად, ფონდთან დაკავშირებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, კვლავ ძალაშია მათი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ფონდი არ შევიდოდა ახალი პროექტების დაფინანსებაში, რაც ფისკალური რისკების შემცირებას ისახავდა მიზნად. თუმცა, თავად ფონდი IMF-ის ამ შეფასებას არ ეთანხმება და მიუთითებს, რომ მათ რეფორმირების პროცესი გაიარეს და ახალ პროექტებში შესვლა თავისუფლად შეუძლიათ.

ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დავით საგანელიძე აღნიშნავს, რომ ყუღევის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროექტი საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისთვის და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის არის მნიშვნელოვანი, ამიტომაც ფონდმა მასში მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო.

„მოხარული ვარ, რომ დღეს, ჩვენი პარტნიორობით, საფუძველი ჩაეყარა ისტორიული პროექტის დაწყებას. ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს არსებობა ქვეყნისთვის ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის ქვაკუთხედი გახდება. მაღალტექნოლოგიური წარმოება ფონდის ერთერთი მთავარი პრიორიტეტია. ქარხნის მშენებლობა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას. ამას გარდა, ვინაიდან წარმოებული ნედლეული გამოიყენება მრეწველობის სხვადასხვა სექტორში, მათ შორის სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა მიმართულებებით, გაიზრდება ხელმისაწვდომობა ინდუსტრიისთვის საჭირო რესურსებზეც. უმნიშვნელოვანესია, რომ ქარხანაში წარმოებული უმაღლესი ხარისხის

პროდუქცია გავა ექსპორტზე, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას,“ განაცხადა „საქართველოს განვითარების ფონდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, დავით საგანელიძემ.

ყულევის თიზ-ში მსხვილი საწარმოს მშენებლობა ჯერ კიდევ 2012 წლიდან იგეგმება, როდესაც მაშინდელი ხელისუფლების დროს, Socar-სა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმდა საინვესტიციო შეთანხმება. თუმცა აღნიშნული პროექტი არ განხორციელდა, რის გამოც შეიცვალა თიზ-ის ინვესტორი და პროექტის განხორციელების ვალდებულება კომპანია “ფაზის ოილზე” გადავიდა. მისი განვითარება ვერც “ფაზის ოილმა” ვერ შეძლო, რის გამოც მთავრობამ ინვესტორი ჩაანაცვლა.

“ზლექ სი პეტროლიუმი” 2022 წლის ოქტომბერში დაფუძნდა. მასში 70%-იანი წილი ბიზნესმენ მაკა ასათიანს ეკუთვნის, ხოლო 30%-იანი წილი შპს TRADE STONE IBERIA-ს. უშუალოდ TRADE STONE IBERIA-შიც 70%-იანი წილის მფლობელი ბიზნესმენი მაკა ასათიანია, 30%-იანი წილი კი სოფიო თავართქილაძეს ეკუთვნის.

ყულევის ნავთოგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობა დაყოფილია 6 ფაზად. პირველი ფაზის ფარგლებში აშენდება ქარხნის ძირითადი ინფრასტრუქტურა და გაეშვება ექსპლუატაციაში. პირველ ფაზაზე დაწყებული რამდენიმე ობიექტის მშენებლობა გაგრძელდება რამდენიმე ეტაპის განმავლობაში. შემდეგ ფაზებზე ეტაპობრივად დაემატება რკინიგზის მეორე ესტაკადა, რეზერვუარები და სხვა საწარმო ობიექტები.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/2eFwviGQ>

ელექტროენერგეტიკა

საქართველოს აქვს იმის პოტენციალი, რომ ელექტროენერგია ქვეყნისთვის თვითკმარი იყოს - ენერგეტიკოსი

საქართველოს ენერგეტიკულ სისტემას აქვს იმის პოტენციალი, რომ ელექტროენერგია ქვეყნისთვის თვითკმარი იყოს“ - ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას ენერგეტიკოსმა გია არაბიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ნორმალური განვითარების პირობებში, ეს ყველაფერი სრულიად რეალურია.

„2023 წლის იმპორტი იმდენად მინიმალური იყო, რომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ არც იყო. საქართველოს ენერგეტიკულ სისტემას აქვს იმის პოტენციალი, რომ ელექტროენერგია თვითკმარი იყოს ჩვენი ქვეყნისთვის.

თუ ჩვენ გაზის მოხმარება შეგვიწყდება და მდინარეში წყალი არ იქნება, რა თქმა უნდა ვერ მოხერხდება, მაგრამ ნორმალური განვითარების პირობებში, როგორც დღეს არის და მაშინ, როცა ყოველწლიურად ხდება სოციალური გაზის რაოდენობის მატება და ჩვენი ჰიდროსადგურების გამომუშავება, ეს სრულიად შესაძლებელია.

ამას დამატებული ის გრაფიკი, რომლითაც დაგეგმილია განახლებადი ენერგიების - მზის და ქარის ენერგიების, ნეტო აღრიცხვის შეყვანა, ამ ყველაფრის შეყვანის შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია, რომ წლის ნებისმიერ დროს ჰქონდეს საკმარისი ენერგია“, - განაცხადა გია არაბიძემ.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, 2030 წელს საქართველო ელექტროენერგეტიკულად დამოუკიდებელი ქვეყანა გახდება.

„2030 წელს საქართველო პირველად გახდება ელექტროენერგეტიკულად დამოუკიდებელი ქვეყანა. ეს ნიშნავს, რომ ელექტროენერგიაზე ჩვენი მოთხოვნის დაკმაყოფილება ენერჯის იმპორტის გარეშე შეგვეძლება. ბოლო 12 წლის განმავლობაში აშენდა: 63 ჰესი, 2 თბოელექტროსადგური, 1 ქარის ელექტროსადგური“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

წყარო: bpn.ge - <https://cutt.ly/FeFwwebF>

არსებობენ დაინტერესებული ინვესტორები, რომლებიც ხუდონჰესის განხორციელებას განიხილავენ - მინისტრი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, უკვე გამოკვეთილია დაინტერესებული ინვესტორები, რომლებიც ხუდონჰესის პროექტის განხორციელებას განიხილავენ. ამის შესახებ მინისტრმა BMG-ის კითხვაზე პასუხისას განაცხადა.

როგორც ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, შვეიცარიული კომპანია “შტუკის” მიერ მომზადებული წინა საპროექტო კვლევებით მოხდა ჰესის ადგილმდებარეობის იმგვარი ცვლილება, რომ მისი განხორციელებით ადგილობრივ თემს ზიანი აღარ მიყენებოდა.

2022 წლის დეკემბერში გახდა ცნობილი, რომ ხუდონჰესის პროექტი სახელმწიფომ 13.5 მილიონ დოლარად დაიბრუნა. პროექტის განხორციელების ინვესტორად ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს კომპანია “ტრანსელექტიკა” იყო შერჩეული, თუმცა კომპანიამ პროექტის განვითარება ვერ შეძლო, რის გამოც ეკონომიკის სამინისტრომ მასთან პროექტიდან გასვლის შესახებ აწრმოა მოლაპარაკებები და პროექტი გამოისყიდა.

2023 წლის ივნისში კი მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ პროექტის საინჟინრო მოდიფიკაციის საკითხებზე შვეიცარიული კომპანია სწავლობდა, რათა ჰესის პროექტი გადატანილიყო ისეთ ლოკაციაზე, სადაც კაშხლის აშენება მოსახლეობას არ დააზიანებდა.

“ხუდონჰესის პროექტი სახელმწიფომ დაიბრუნა, ეს პროცესი უწყვეტად მიმდინარეობდა და შესაბამისი იურიდიული პროცედურები სამწუხაროდ საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, იმისთვის რომ პროექტებმა ახალი სიცოცხლე შეიძინონ და განხორციელდნენ, მაქსიმალურად საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით ჩვენ ჩავატარეთ შესაბამისი კვლევები, რომლებშიც მონაწილეობა ცნობილი შვეიცარიული საინჟინრო კომპანია შტუკი, რომელმაც დაასრულა პრე ფიზიბილითი კვლევა, რაც გულისხმობდა ჰესის პროექტის რელოკაციას, იცით რომ პროექტის ძირითადი შემზღუდავი ფაქტორი იყო სოციალური კუთხით პროექტის გავლენა, შესაბამისად ახალი პროექტით მოსახლეობის აქტიური ჩართულობით და მხარდაჭერით განხორციელდება შეცვლილ ლოკაციაზე. უკვე დავაფუძნეთ შესაბამისი კომპანია ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ, რომელმაც დაიწყო ამ პროექტის განხორციელება. ჩვენ დავიწყებთ დეტალურ პროექტირებას და პარალელურ რეჟიმში უკვე გვყავს დაინტერესებული ინვესტორები, რომლებსაც მოვიწვევთ და ისინი სახელმწიფოსთან ერთად იქნებიან პარტნიორები რათა პროექტი განხორციელდეს,”- განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ხუდონჰესის პროექტი მესტიის მუნიციპალიტეტში ენგურის ზედა ნაწილში ჰესის მშენებლობას ითვალისწინებდა. პროექტი მოიცავდა თაღვანი კაშხლის, მიწისქვეშა ელექტროსადგურის და სხვა ნაგებობების მშენებლობას. მისი დადგმულ სიმძლავრე 702 მგვტ, ხოლო ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება 1,5 მლრდ კვტ/სთ უნდა ყოფილიყო. ინვესტიციად დაახლოებით 1 მლრდ აშშ დოლარი სახელდებოდა. პროექტი ინდურ კომპანია „ტრანსელექტრიკს“ უნდა განეხორციელებინა.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/6eFwc890>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

მთავრობამ ენერგოპროექტების ინვესტორები გარანტიის წარდგენის ვალდებულებისგან გაათავისუფლა

განახლებადი ენერჯის ელექტროსადგურების ინვესტორებისთვის ახალი შეღავათი ამოქმედდა. მთავრობის დადგენილებით, მშენებლები, რომლებსაც ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ხელშეკრულება ფორმდება, გარანტიის წარდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან. ცვლილება ეხება ქარის და მზის სადგურებს და ასევე იმ ჰიდროელექტროსადგურებს, რომელთა დადგმული სიმძლავრე 100 მეგავატს აღემატება.

Helios Energy Georgia-ს დამფუძნებელ და „მზის ენერჯის განვითარების ასოციაციის“ დირექტორის თორნიკე დარჯანიას შეფასებით, გარანტიის წარდგენისგან გაათავისუფლება მნიშვნელოვანი შეღავათია ინვესტორებისთვის, თუმცა გარანტიის წარდგენის ვალდებულება იმთავითვე ემსახურებოდა გარკვეული რისკების გადაზღვევას სახელმწიფოსთვის, რომ პროექტი სამშენებლო ეტაპზე გადასულიყო. თორნიკე დარჯანია ფიქრობს, რომ სავარაუდოდ, კომპანიებს გაუჭირდათ საფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებიდან გარანტიების მიღება და ამ გადაწყვეტილების უკანაც ეს მიზეზი დგას.

“ჩვენი მხრიდან არ ყოფილა ეს საკითხი დაყენებული. სამშენებლო გარანტიაზე თუ არის საუბარი, 40 ათასი იყო 1 მეგავატზე მოთხოვნილი, შესაბამისად რომ გადავითვალოთ 100 მეგავატზე, საკმაოდ სოლიდური გარანტიის მოტანა მოუწევდა ინვესტორს. გამოდის, ეს არის საშეღავათო ინვესტორებისთვის, თუმცა მინდა ვთქვა ეს გარანტიები რას ემსახურებოდა. არასერიოზული ინვესტორების ჩართულობა რომ იქნეს თავიდან აცილებული, გარანტია იყო ერთგვარი ბარიერი იმისა, რომ შეემოწმებინა სახელმწიფოს, რამდენად სერიოზულად არის ინვესტორი დაინტერესებული. შესაბამისად იმედი მაქვს, რომ გარანტიის მოხსნა უკუშედეგს არ გამოიწვევს.

ამხელა გარანტიის მიცემა მშენებლობაზე ქართულ ბანკებს ან საკრედიტო დაწესებულებებს ან დაზღვევას გაუჭირდებოდა, შესაბამისად რთული იყო საერთაშორისო დონეზეც ამ ტიპის გარანტიების მოძიება. სახეზეა, რომ რაღაც პრობლემა იყო გარანტიებთან მიმართებით, სხვა კუთხით სახელმწიფო ამ გარანტიას არ მოხსნიდა, იმიტომ რომ ძალიან ბევრი პროექტია ისეთი, რომელიც რეალურად აშენებისთვის არ არის გაკეთებული, არამედ ის არის იმისთვის, რომ გაყიდოს ინვესტორმა. რომ ვერ ყიდის, ეს პროცესი იწელება. ამიტომ მოითხოვდა სახელმწიფო ამ გარანტიას, რომ წინარე ტექნიკურ-ეკონომიკური ფაზიდან მშენებლობის ეტაპზე გადასულიყო ინვესტორი და

პროექტი დაესრულებინა”,-განაცხადა თორნიკე დარჯანიამ “საქმის კურსთან” ინტერვიუში.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/QeFwcMig>

აშშ-ში ქმნიან სატელიტს, რომლის დახმარებით ღამით მზის შუქს მიიღებთ

წარმოიდგინეთ მომავალი, როცა მზის შუქი დამოკიდებულია არა დღე-ღამის ცვლაზე და კოსმოსში ციური სხეულების მოძრაობაზე, არამედ ადამიანის სურვილზე. როგორც ჩანს, ეს მომავალი არც თუ ისე შორის არის, რადგან კალიფორნიაში გამოჩნდა კომპანია, რომელსაც შეუძლია, მზე ღამით ისევე ჩართოს, როგორც ღამპიონი. ამ კომპანიას Reflect Orbital-ი ჰქვია და ის დიდი სარკეებით აღჭურვილ კოსმოსურ თანამგზავრებზე მუშაობს, რომელთა დახმარებით მზის სხივის არეკვლა დედამიწის ნებისმიერ წერტილში და ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი.

როგორც კომპანიის დამფუძნებლები ამბობენ, სტარტაპის მიზანი პლანეტის ენერგეტიკული ქსელის ეფექტიანობის გაუმჯობესებაა. ამჟამად, მზის ენერჯისგან ელექტროენერჯის წარმოების გაზრდა ორნაირად შეიძლება: მზის პანელების რაოდენობის გაზრდით ან ფოტოვოლტაიკური ტექნოლოგიის გაუმჯობესებით, მაგრამ მთელ ამ პროცესში უცვლელად ნარჩუნდება თავად მზე, რომელიც, რეალურად, ენერჯის მთავარი წყაროა დედამიწაზე. შესაბამისად, როგორც Reflect Orbital-ში ფიქრობენ, მზის სხივის არეკვლით, მზის ელექტროსადგურები ღამითაც იმუშავენ, რაც მათ ეფექტიანობას გაზრდის, ხოლო პლანეტის ენერგეტიკულ ქსელს უფრო მწვანეს გახდის.

როგორც კომპანიაში ამბობენ, პირველ ეტაპზე დედამიწის ორბიტაზე მცირე ზომის პროტოტიპული თანამგზავრი გაეშვება, რომელსაც 100 კვადრატული მეტრის ფართობის კვადრატული რეფლექტორი ექნება. როგორც პროექტის სკეპტიკოსები ამბობენ, ამ ზომის რეფლექტორით შეუძლებელია იმ მოცულობის სხივის მობილიზება, რომ ეს საქმე კომერციულად საინტერესო იყოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მოწყობილობა პროტოტიპულია, რომელმაც, სხვათა შორის, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ვენჩურული ფონდი, Sequoia უკვე დააინტერესა. სამომავლოდ, კომპანია დედამიწის ორბიტაზე რამდენიმეჯერ უფრო დიდი რეფლექტორების მქონე ათასობით თანამგზავრის გაშვებას გეგმავს.

თუკი Reflect Orbital-ის გუნდის გეგმები გამართლდა, ენერგეტიკის სექტორი ძალიან შეიცვლება. თან, დროსთან ერთად, კომპანიას შეუძლია თანამგზავრები გაცილებით მაღალ ორბიტაზე განათავსოს, რითაც მზის სხივის გადამისამართებას უფრო ეფექტიანად შეძლებს და საბოლოო ჯამში, კონკრეტულ ადგილებში დღეს დააგრძელებს. როგორც კომპანიაში ამბობენ, აღნიშნული ტექნოლოგია ბატარებს და ელექტროენერჯის წარმოების სხვა მეთოდებს, მათ შორის ბირთვულ რეაქტორებს ვერ ჩაანაცვლებს, მაგრამ შეძლებს, მზის ენერგეტიკა გაცილებით ეფექტიან საქმიანობად აქციოს, რადგან ადამიანები, რომელთაც მზის პანელები აქვთ, ელექტროენერჯის გამომუშავებას ღამითაც შეძლებენ, რაც დღეს, უბრალოდ შეუძლებელია.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/seFwcLVE>

კლიმატის ცვლილება

კლიმატური კატასტროფები მხოლოდ ოდნავ ცვლის პოლიტიკურ საჭიროებას

მაშინაც კი, როცა აშშ-ს მთელი ქვეყნის მასშტაბით კლიმატის მომაკვდინებელი და დამანგრეველი ექსტრემალური მოვლენების უსასრულო სერიაა, მათ შორის სითბური ტალღები სამხრეთ-დასავლეთში, ტყის ხანძრები კალიფორნიაში და ქარიშხლები და წყალდიდობები სამხრეთ-აღმოსავლეთში, სოციოლოგები და პოლიტოლოგები ამბობენ, რომ კლიმატი ჯერ კიდევ არ არის სერიოზული პრობლემა ამერიკელი ამომრჩევლებისთვის. მიუხედავად ადამიანების სიკვდილისა და ნგრევისა, რომელიც ქარიშხლებმა „მილტონმა“ და „ჰელენმა“ მიაყენეს ჩრდილოეთ კაროლინასა და ფლორიდას არჩევნებამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე, ქარიშხლებმა ნაკლებად სავარაუდოა, რომ გავლენა მოახდინონ ხმების რაოდენობაზე, აცხადებენ მკვლევარები.

„მე მრავალი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდი ჰიპოთეზას, რომ ქარიშხლები ან სხვა მოვლენები გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ აზრზე, მაგრამ ცალკეულ მოვლენებზე რეაგირების მტკიცებულება ვერ დავინახე“, - თქვა ლოურენს ჰამილტონმა, ნიუ ჰემფშირის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორმა, რომელიც იკვლევს საზოგადოებრივ შეხედულებებს მეცნიერების, გარემოს, კლიმატის ცვლილებისა და ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედების შესახებ.

მან განაცხადა, რომ 2020 წლის განმავლობაში შეინიშნებოდა ნელი ზრდის ტენდენცია კლიმატურ პრობლემებზე ინფორმირებულობისა და რეაგირების მიმართულებით, რომელიც შესაძლოა შეფერხებულიყო COVID-ის პანდემიის გამო, მაგრამ მისი თქმით, მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ცალკეულ ექსტრემალურ მოვლენებს დიდი გავლენა არ მოუხდენია ამომრჩევლებზე.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/yeFwcPhC>

Cop29-ის მასპინძელი აზერბაიჯანი აპირებს წიაღისეული გაზის მოპოვების მასტაბურ გაფართოებას, ნათქვამია მოხსენებაში

აზერბაიჯანი, კლიმატის გლობალური სამიტის Cop29 მასპინძელი, მომდევნო ათწლეულში წიაღისეული გაზის წარმოების დიდ გაფართოებას აპირებს, ნათქვამია ახალ მოხსენებაში. ავტორები აცხადებენ, რომ უმნიშვნელოვანესი მოლაპარაკებები არ უნდა იყოს იმ ადამიანების ზედამხედველობის ქვეშ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ მსოფლიო წიაღისეულ საწვავზე იყოს მიჯაჭვული.

აზერბაიჯანის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნავთობისა და გაზის კომპანია Socar და მისი პარტნიორები აპირებენ გაზარდონ ქვეყნის გაზის წლიური მოპოვება დღევანდელი 37 მილიარდი კუბური მეტრიდან 49 მილიარდ კუბურ მეტრამდე 2033 წლისთვის. Socar ასევე დათანხმდა გაზის ექსპორტის გაზრდას ევროკავშირში 17%-ით 2026 წლისთვის.

Cop29 სამიტი, რომელიც 11 ნოემბერს იწყება, ტარდება მას შემდეგ, რაც მეცნიერები ამბობენ, რომ ნახშირორჟანგის რეკორდული ემისიები ნიშნავს, რომ "კაცობრიობის მომავალი ბეწვზე კიდა". ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ 2021 წელს განაცხადა,

რომ წიაღისეული საწვავის არანაირი ახალი ექსპლუატაცია არ უნდა მოხდეს, თუკი CO2-ის ემისიები 2050 წლისთვის ნულამდე უნდა შემცირდეს.

წყარო: The Guardian - <https://cutt.ly/7eFwcmCx>

ღონისძიებები

[EUROHEAT & POWER SUMMIT 2024](#)

თარიღი: 5-6 ნოემბერი, 2024|

ადგილი: ბრიუსელი, ბელგია

თემატიკა: ევროპის გათბობა-გაგრილების სექტორის დეკარბონიზაცია

[გებინარი: ტრანსპორტი - გამოუყენებელი პოტენციალი თუ რთული ამოცანა?](#)

თარიღი: 19 Nov 2024

ორგანიზატორი: IEECP

თემატიკა: ტრანსპორტი, ენერჯის დაზოგვა

[კონფერენცია - Industry CCUS 2024](#)

თარიღი: 20–21 ნოემბერი, 2024

ორგანიზატორი: FORTES MediaGroup

ადგილი: როტერდამი, ნიდერლანდები

თემატიკა: CO2-ის უტილიზაცია, მრეწველობის დეკარბონიზაცია

[კონფერენცია - მსოფლიოს მდგრადი ენერჯეტიკის დღეები 2025](#)

თარიღი: 04–07 მარტი, 2025

ორგანიზატორი: OÖ Energiesparverband

ადგილი: შტადლალე, ველსი, ავსტრია

თემატიკა: ბიომასა, ენერგოეფექტურობა, ე-მობილობა, ენერგოეფექტურობის პოლიტიკა

[ევროპის ენერგოეფექტურობის კონფერენცია 2025](#)

თარიღი: 06–07 მარტი, 2025

ორგანიზატორი: OÖ Energiesparverband

ადგილი: შტადლალე, ველსი, ავსტრია

თემატიკა: ენერგოეფექტურობა, ე-მობილობა, ენერგოეფექტურობის პოლიტიკა, ენერგოეფექტურობა მრეწველობაში